ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

საქართველოს პრეზიდენტის

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია

არჩევნები 2013 წელი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

2013 წელი

დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
2013 წლის 21 აგვისტოს №29 დადგენილებით

სარჩევი

ნაწილი I. საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი 3
თავი I. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი 3
საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ვადა 3
საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი 3

თავი II. საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი 4
საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები 4
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომების მომზადება 5
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობა 5
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი 6
საუბნო საარჩევნო კომისიის საქმისწარმოების წესი 6
საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები 7
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განკარგულების მიღების წესი 8
საუბნო საარჩევნო კომისიის ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში 8

ნაწილი II. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში 8
თავი I. ამომრჩეველთა სიები 8
ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი გამოქვეყნების წესი 8
ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა გადამოწმება 9
ამომრჩეველთა სპეციალური სია 9
გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი 9
ამომრჩევლის მონაცემების ბარათი 11
ამომრჩევლის ბარათი 11

თავი II. საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და კენჭისყრის შენობის მოწყობა 12
საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის და ინვენტარის მიღება 12
საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი 12
კენჭისყრის შენობის მოწყობა 13

ნაწილი III. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს 14
თავი I. საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები 14
საარჩევნო უბნის გახსნა 14
კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები 14
დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა 15
საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები 15

თავი II. კენჭისყრის პროცესი 19
კენჭისყრის ჩატარება 19
კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში 22
კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა 22
გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა 23
კენჭისყრის პროცესის დროებით შეჩერება 24

თავი III. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება 24
საარჩევნო უბნის დახურვა 24
საარჩევნო უბნის მოწყობა ხმების დათვლის პროცედურისთვის 25
საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები 26
ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა ... 27
გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა 27
ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნა 28
გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთის გახსნა 28
საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება 29
საარჩევნო ბიულეტენების დათვლა 29
საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა 30
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა 30
შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა 31
სარეგისტრაციო ჟურნალის, ჩანაწერთა წიგნის დალუქვა, საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის 31

ნაწილი IV. კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები 32
თავი I. კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრების რეგისტრაცია 32
საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვება 33
განცხადება/საჩივრებზე ხარვეზის დადგენის წესი 33

თავი II. კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრებზე რეაგირება 34

დანართი №1. სხდომის ოქმის ნიმუში 35
დანართი №2. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის განკარგულების ნიმუში 41
დანართი №3. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი 44
დანართი №4. საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრის რეკვიზიტები 46
დანართი №5. ცნობა განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ 47
დანართი №6. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი 48
დანართი №7. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს .. 55
დანართი №8. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები 58
დანართი №9. ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები 59
დანართი 10. გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები 61
დანართი №11. საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები 63
დანართი №12. ფოტოვიდეოგადაღება საარჩევნო უბანზე 64

თავი I. საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი

საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ვადა

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 24.1):*

- 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია;
- 7 წევრს ნიშნავენ პარტიები.

<u>ყურადღება!</u>
საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 25.14).*

<u>ყურადღება!</u>
აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე (12 ოქტომბერი) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 29.9).*

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.23; მუხლი 25.21)

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებია:

- კომისიის თავმჯდომარე;
- თავმჯდომარის მოადგილე;
- კომისიის მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი აირჩევა საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე (იხ. დანართი №1; №2), რომელიც იმართება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 34-ე დღისა (23 სექტემბერი). სხდომა მოიწვევა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, არანაკლებ 7 წევრი. სხდომას თავმჯდომარის არჩევამდე ხელმძღვანელობს კომისიის უხუცესი წევრი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის არჩევის წესი

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 25)

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი ირჩევა კომისიის წევრთაგან, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

ყურადღება!

- ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
- დასახელებულ კანდიდატს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და ხმა მისცეს საკუთარი კანდიდატურის სასარგებლოდ.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი არ შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის მიერ დანიშნული კომისიის წევრები (ერთ საარჩევნო სუბიექტად მოიაზრება ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", კონსერვატიული პარტია, პ/მ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", პ/გ "ეროვნული ფორუმი", რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის არჩევა ფორმდება საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით (იხ. დანართი №3).

თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

თავი II. საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1):*

- იწვევს და უძღვება კომისიის სხდომას;
- იღებს და ანაწილებს კომისიაში შემოსულ საბუთებს და კორესპონდენციას;
- პირადად აგებს პასუხს საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის შენახვა/გაცემაზე;
- დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;
- კენჭისყრის დღეს ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციების წილისყრით განაწილებას;
- პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე საარჩევნო უბნის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს ყველა საარჩევნო დოკუმენტაციას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.2):*

- ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;

- კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.3):*

- ამზადებს კომისიის სხდომის დღის წესრიგსა და განკარგულებათა პროექტებს;
- პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- ადგენს კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომების მომზადება

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან მისი მოადგილის მოთხოვნით.

სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს განცხადებას სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის თარიღის, ზუსტი დროისა და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.1-9.2).*

თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის მდივანი, პირადად არის პასუხისმგებელი სხდომის თარიღი და მისი დაწყების ზუსტი დრო შეატყობინოს კომისიის ყველა წევრს *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.3).*

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.15):*

- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს;
- ცესკოს აპარატის თანამშრომლებს;
- შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს;
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო დამკვირვებელს;
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო დამკვირვებელს (თარჯიმანთან ერთად).

საუბნო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში, წესრიგის დამრღვევი პირი გაამევოს სხდომის დარბაზიდან, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.15).*

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობა

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით თავმჯდომარის მოადგილე *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.7).* სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (არანაკლებ 7 წევრი) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.3).*

კომისიის წევრები სხდომაზე დასწრებას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.5).*

კომისიის სხდომის დღის წესრიგს ამზადებს კომისიის მდივანი. განსახილველ საკითხს კენჭი ეყრება წინადადებათა შემოსვლის რიგის მიხედვით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.4; მუხლი 10.2).*

კომისიის ყველა წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში. კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები სხდომაზე სიტყვით გამოდიან სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, კომისიის წევრების შემდეგ *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 10.6; მუხლი 9.11).*

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება სხდომის ოქმში. კომისიის მდივანი სხდომის ოქმს აფორმებს სხდომიდან ერთი დღის ვადაში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.8).* სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.8).*

ოქმი ინომრება და რეგისტრირდება სარეგისტრაციო ჟურნალის "გასული დოკუმენტაციის" ნაწილში.

ყურადღება!
კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც შეიტანება სხდომის ოქმში. განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მას არა აქვს უფლება თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულებას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.9).*

საუბნო საარჩევნო კომისიის საქმისწარმოების წესი

(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 11)
საუბნო საარჩევნო კომისიაში წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

სარეგისტრაციო ჟურნალი შედგება ორი ნაწილისაგან:

I. **შემოსული დოკუმენტაცია**
   კომისიის მდივანი ვალდებულია დოკუმენტის/განცხადების შემოსვლისას დაარეგისტრიროს შემოსული დოკუმენტი.

ყურადღება!
დოკუმენტის/განცხადების მიღების და ჟურნალში სათანადო რეგისტრაციის შემდეგ კომისიის მდივანი ვალდებულია გასცეს ცნობა, რომელშიც მიეთითება დოკუმენტის/განცხადების მიღების თარიღი და ზუსტი დრო, ასევე, ჟურნალში მისთვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი. აღნიშნული ცნობა კომისიის მდივანმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 11.5).*

II. გასული დოკუმენტაცია

კომისიის მდივანი ვალდებულია დოკუმენტის გაცემა დაარეგისტრიროს გასული დოკუმენტაციის ნაწილში.

სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება ყოველი დღის 18 საათზე. ჟურნალის ორივე ნაწილში, უკანასკნელი ჩანაწერის შემდგომ, კეთდება აღნიშვნა ,,ჟურნალი დახურულია", მიეთითება თარიღი და ზუსტი დრო. აღნიშნულ ჩანაწერს კომისიის მდივანი ადასტურებს ხელმოწერით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 11.15).*

საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები

(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 6)

საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებია:

- კომისიის განკარგულება;
- კომისიის თავმჯდომარის განკარგულება;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება განკარგულებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება შეიძლება გამოიცეს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევის და თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების შესახებ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 25; მუხლი 29.3);*
- კენჭისყრის შენობის დროებითი ჩაკეტვის/კენჭისყრის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების დადასტურების ან გაუქმების შესახებ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 60.4);*
- კენჭისყრის შეწყვეტის და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 60.4);*
- საარჩევნო ყუთის გახსნის დროს, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვისა და საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის შესახებ, თუ კომისია მიიჩნევს, რომ დარღვეულია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68).*

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება გამოიცემა:

- კენჭისყრის შენობის დროებითი ჩაკეტვის/კენჭისყრის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ *(საარ-ჩევნო კოდექსი - მუხლი 60.3);*
- კენჭისყრის შენობის გახსნის/კენჭისყრის გაგრძელების შესახებ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 60.3);*
- თავმჯდომარის მოადგილისათვის კომისიის თავმჯდომარის ცალკეული უფლება-მოსილებების მინიჭების შესახებ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.2.ბ).*

ყურადღება!

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება უნდა გაფორმდეს მისი მიღებისთანავე, რომელიც არა უგვიანეს მეორე დღისა უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 30.4; საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 6.4).*

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განკარგულების მიღების წესი

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებათა პროექტს ამზადებს კომისიის მდივანი *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9.4).* კომისიის განკარგულება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (არა ნაკლებ 5 წევრი), ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.4-5).*

კომისიის განკარგულებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის განკარგულება მეორე დღესვე გამოიკვრება საარჩევნო უბანში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 30.4; მუხლი 26.3; საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 6.4).*

საუბნო საარჩევნო კომისიის ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში

საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს კანდიდატთა სიებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.დ; საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 8.2.ბ-გ).*

ყურადღება!
საარჩევნო კომისიის წევრს ეკრძალება საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.4.ა).*

ნაწილი II
საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში

თავი I. ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი გამოქვეყნების წესი

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31)

საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს პირველი შეკრების დღისა (კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 34-ე დღე - 23 სექტემბერი) გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი სია, რომელიც განკუთვნილია საჯარო ინფორმაციისთვის (კედლის სია).

კედლის სია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალ-საჩინო ადგილას.

საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მეორე დღისა (25 ოქტომბერი) გადაეცემა დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები:

- საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსია (სამაგიდო სია);
- საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია (კედლის სია).

ყურადღება!

- **კედლის სიების თავდაპირველი ვერსია უნდა ჩამოიხსნას და იმავე ადგილას გამოიკრას დაზუსტებული ვერსია.**
- **დაუშვებელია სამაგიდო სიისა და მისი ასლის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა.**

ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა გადამოწმება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 26.2.ბ)

საუბნო საარჩევნო კომისია:

- ამოწმებს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სისწორეს;
- შეცდომებისა ან უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, არა უგვიანეს მომდევნო დღისა, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა (11 ოქტომბერი), სიაში ცვლილების შეტანის წინადადებით მიმართავს საოლქო საარჩევნო კომისიას;
- სიებთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებს, დაუყოვნებლივ, გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სპეციალური სია

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 32)

ამომრჩეველთა სპეციალურ სიას ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია და კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა (24 ოქტომბერი) გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

თუ კენჭისყრის დღეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს ამომრჩეველი, რომელმაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა (11 ოქტომბერი) ვერ მოასწრო მიემართა კომისიისთვის სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით (**ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, გამოეწერა საავადმყოფოდან, განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან**), შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში (ცნობა საზღვრის გადაკვეთის შესახებ - ჩანაწერი პასპორტში, ცნობა სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ან ცნობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ), მას სპეციალურ სიაში რეგისტრაციაში გაატარებს საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს წარდგენილი დოკუმენტების ფოტოასლებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.12).*

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 33; მუხლი 34.2.ე)

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისია. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე.

ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ თუ:

- შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა (ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს. აღნიშნული

რაოდენობის შევსების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ყოველი ახალი შემოსული განცხადების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საოლქო საარჩევნო კომისიას და დაელოდოს შესაბამის მითითებებს);

- იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას (ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია კონსულტაციის გავლა საოლქო საარჩევნო კომისიასთან);

ყურადღება!

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიას წერილობით ან სატელეფონო შეტყობინებით მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც (24 ოქტომბერი). კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში ატარებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას, სატელეფონო შეტყობინების შემოსვლის ზუსტი დროის, ტელეფონის ნომრის, ამომრჩევლის სახელის, გვარის, მისი პირადი ნომრისა და იმ მისამართის მითითებით, სადაც ამომრჩეველი ითხოვს გადასატანი საარჩევნო ყუთის მიტანას. თუ ეს მისამართი არ არის იმ საარჩევნო უბნის ტერიტორიის საზღვრებში, სადაც ამომრჩეველი რეგიტრირებულია, მას განემარტება, რომ არ შეიყვანება გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში.

- სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი (კენჭისყრის დღეს სტაციონარულ/სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 დღისა);
- სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;
- იმყოფება პატიმრობაში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეიტანება ამომრჩვლის იგივე მონაცემები, რაც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში და დამატებით აღინიშნება მისი რიგითი ნომერი ერთიან ან სპეციალურ სიაში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩეველის შეყვანის შემთხვევაში ერთიანი და სპეციალური სიების გასწვრივ გრაფაში - "ფაქტობრივი მდგომარეობა" უნდა გაკეთდეს აღნიშვნა - "გადასატანი ყუთი".

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.

ყურადღება!

- **გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე.**
- **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს უფლება აქვთ, გადაამოწმონ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა და არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს დასვან საუბნო საარჩევნო კომისიის წინაშე ამ პირების გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.**

ამომრჩევლის მონაცემების ბარათი

(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 4 ივლისის №17 დადგენილება)

ამომრჩეველთა სიების გადამოწმების მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კენჭისყრამდე არაუადრეს 30-ე (27 სექტემბერი) და არაუგვიანეს მე-20 (7 ოქტომბერი) დღემდე არიგებენ ამომრჩევლის მონაცემების ბარათებს.

ყურადღება!
ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ ერთდროულად. ამ მოთხოვნათა არაჯეროვანი შესრულება განიხილება დისციპლინურ გადაცდომად.

ამომრჩევლის ბარათი

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 35)

საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს გადასცეს ამომრჩევლის ბარათი არა უგვიანეს 24 ოქტომბრისა.

საუბნო საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისიიდან, იღებს დაბეჭდილ ამომრჩეველთა ბარათებს, რომელშიც მითითებულია:

- კენჭისყრის თარიღი და დრო;
- კენჭისყრის შენობის მისამართი, სართულისა და ოთახის ნომრები;
- ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში;
- ამომრჩევლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით კენჭისყრაში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მონაწილეობის მიღების თაობაზე განცხადების ან განაცხადის გაკეთების წესი, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები;
- საარჩევნო უბნის ნომერი;
- ამომრჩევლის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
- ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი.

ამომრჩევლის ის ბარათები, რომლებიც ვერ დაურიგდა ამომრჩევლებს მითითებული მისამართების მიხედვით, კომისიის წევრებმა უნდა დაუბრუნონ კომისიის მდივანს.

ყურადღება!
ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ არის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველი.

საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის და ინვენტარის მიღება

საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის მზადებისა და ჩატარების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიიდან იღებს:

საარჩევნო დოკუმენტაციას

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას;
- ამომრჩეველთა ბარათებს;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ბლანკებს;
- საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს;
- სპეციალურ კონვერტებს;
- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს;
- საკონტროლო ფურცლებს;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმსა და "შესწორების ოქმის" ფორმებს;
- სადემონსტრაციო ოქმს.

საარჩევნო ინვენტარს

- ძირითად და გადასატან გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებს;
- საარჩევნო ყუთების ლუქებს;
- კენჭისყრის კაბინებს;
- მარკირების სითხეს და მარკირების შესამოწმებელ სპეციალურ ხელსაწყოს (ულტრაიის-ფერი ფარანი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალურ ბეჭედს;
- რეგისტრატორების ბეჭდებს;
- ასლგადამღებ მანქანას;
- სამელნე ბალიშებს.

სხვა საარჩევნო მასალას

- პრეზიდენტობის კანდიდატების სიას;
- საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
- ამონარიდს კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს.

<u>ყურადღება!</u>
საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 63.9).*

საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი

კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე - თავმჯდომარის მოადგილე, არის საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებაზე

პასუხისმგებელი პირი. ხოლო საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვაზე და დანიშნულებისამებრ გაცემაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1.დ; მუხლი 63.6).*

მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 63.10).* მიღება-ჩაბარების აქტს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის "შემოსული დოკუმენტაციის" ნაწილში.

კენჭისყრის შენობის მოწყობა

კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არა უგვიანეს ერთი დღისა, მოაწყონ კენჭისყრის შენობა. საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.ა-გ)* :



- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
- ფარული კენჭისყრის კაბინები: ერთი კაბინა ყოველ 500 ამომრჩეველზე. კაბინის ერთი მხარე ღია უნდა იყოს ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით დაფარული. ფარული კენჭისყრის კაბინაში უნდა იყოს საწერი კალამი; ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი და ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი
- სპეციალური კონვერტების მაგიდა (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- აწყობილი საარჩევნო ყუთები (დალუქვის გარეშე).

კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებული უნდა იყოს ისე, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და კონვერტის ჩაშვების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

საუბნო საარჩევნო კომისია, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომრჩევლების მიერ კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღის (2 ოქტომბერი) მიმართვის შემთხვევაში, კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა (7 ოქტომბერი) მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ მათ უზრუნველყონ კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაცია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.3).*

საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.დ; 58.5)

- ამომრჩეველთა სიები;
- არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების სია;
- ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი.

თავი I. საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები

საარჩევნო უბნის გახსნა

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე.

ყურადღება!
თუ ამ დროისთვის კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან კენჭისყრის დღის განმავლობაში ატარონ მათთვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ განხილულ იქნება როგორც დისციპლინური გადაცდომა და წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.16; მუხლი 39.3,6; მუხლი 42.5; მუხლი 44.5)

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (დამატებით შესაძლოა ახლდეს თარჯიმანი);
- მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ერთი და იმავე საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს).

ყურადღება!
კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.17).*

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 41)

დამკვირვებელს და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვთ:

- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.

დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომად-გენელს უფლება არ აქვს:

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61- 62)

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

I საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ა).*

კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო უბნის გახსნისთანავე, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი ვალდებულია, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.3).*

ჩანაწერთა წიგნის პირველ და მეორე გვერდებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მე-10 და მომდევნო გვერდებზეც კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი (მათი წარმდგენი სუბიექტის მითითებით) და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირის მონაცემები (სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია ან საარჩევნო სუბიექტი) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

II კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი, ხსნის დალუქულ პაკეტს

და ბეჭედს უკეთებს პირველ ნაკვეთურს, რომლის ნიმუშიც აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ბ).*

III კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას ფუნქციათა გასანაწილებლად.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომ-რჩეველზე);
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი.

ყურადღება!
წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/კომისიის მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის ჩატარებამდე უნდა შეადაროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და გასანაწილებელი ფუნქციების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ წილისყრის ჩატარების დროს დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა აღმოჩნდება გასანაწილებელ ფუნქციებზე:

- **1-ით ნაკლები**, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა;
- **2-ით ნაკლები**, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას;

- **3-ით ნაკლები**, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.

პირველ რიგში, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოსავლენად (აუცილებლობის შემთხვევაში).

ყურადღება!

- **წილისყრით გამოვლენილი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიეს წარდგენილი კომისიის წევრები (ერთ საარჩევნო სუბიექტად მოიაზრება ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", კონსერვატიული პარტია, პ/მ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", პ/გ "ეროვნული ფორუმი", რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები)** ***(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.დ).***

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- 2 ფურცელზე, ერთი და იმავე საწერი კალმით წერს ფუნქციის დასახელებას "გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები";
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე;
- წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს.

ყურადღება!
წილისყრაში მონაწილეობენ მხოლოდ ბლოკში შემავალი პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრები, ხოლო პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრს ავტომატურად ენიჭება ეს ფუნქცია (თანხმობის შემთხვევაში).

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე. (კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ ფუნქციის მინიჭებას).

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრთა გამოვლენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გასანაწილებლად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- კომისიის წევრების რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცელზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას “ნაკადის მომწესრიგებელი”, “რეგისტრატორი”, “საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი”;
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე;
- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე. (კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ ფუნქციის მინიჭებას).

კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე კომისიის წევრი ხელმოწერით ადასტურებს ფუნქციის გადაცემას.
(საარჩევნო კოდექსი - 61.2.ზ).

თუ კომისიის რომელიმე წევრი, კომისიაში გამოცხადდა წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი შრომის ანაზღაურების საკითხს - საოლქო საარჩევნო კომისია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.4).*

IV საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს. *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.5).*

ყურადღება!
წილისყრაში არ მონაწილეობენ მდივნად არჩეული კომისიის წევრის დამნიშნავი პარტიისა და ამავე პარტიის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლები.
(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.5).

V კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას სიების მიხედვით, მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.ა-ბ).*



VI კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.გ).*



VII კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს გადასცემს მასალებს.

კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორებს გადასცემს:

- ანბანის მიხედვით დანაწილებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას, ერთ-ერთ რეგისტრატორს აგრეთვე გადასცემს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტს;
- წილისყრით გამოვლენილ რეგისტრატორის ბეჭედს, რომელსაც გადაცემამდე უკეთებს პირველ ნაკვეთურს (ბეჭდის ნიმუში აისახება ჩანაწერთა წიგნში) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.8);*
- მარკირების სითხეს.



ყურადღება!
თავმჯდომარემ თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან უნდა გამოაკრას ამომ-რჩეველთა გვარების ანბანური თანმიმდევრობა მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად.



კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადასცემს მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს.



კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადასცემს ძირითად საარჩევნო ყუთს და სპეციალურ კონვერტებს.

VIII ივსება საკონტროლო ფურცელი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.10).*

კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა). საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი ხელს აწერს საკონტროლო ფურცელს.

ყურადღება!
კომისიის წევრებისათვის მასალების გადაცემის შემდეგ დაუყოვნებლივ, კენჭისყრის დაწყებამდე, უნდა შეივსოს საკონტროლო ფურცელი (ნუ დაელოდებით პირველ ამომრჩეველს).

პირველი ამომრჩევლის მოსვლისას ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენს, რის შემდეგაც კომისიის მდივანს მისი მონაცემები შეაქვს საკონტროლო ფურცელში და ამომრჩეველს ხელს აწერინებს მასზე. საკონტროლო ფურცელზე, ასევე

აღინიშნება მათი საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო. კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარს – გადასატან საარჩევნო ყუთში (არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.

საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

ყურადღება!
პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიას აცნობებს ყუთ(ებ)ის დალუქვის, საკონტროლო ფურცლ(ებ)ის ყუთ(ებ)ში ჩაგდების, კომისიის სპეციალურ ბეჭედსა და რეგისტრატორების ბეჭდებზე პირველი ნაკვეთურის გაკეთებისა და ნაკვეთურის ნიმუშის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასახვის შესახებ.

თავი II. კენჭისყრის პროცესი

კენჭისყრის ჩატარება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 64-65)

კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის (27 ოქტომბერი) 08:00 საათიდან 20:00 საათამდე.
ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:

I კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი ნაკადის მომწესრიგებელთან გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:



- არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- სთხოვს ამომრჩეველს წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი, საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის პასპორტი;
- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება;
- ამოწმებს, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლას;
- მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო.

ყურადღება!
თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

II ამომრჩეველი რეგისტრატორთან გადის რეგისტრაციას.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:

- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად). ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს სთხოვს წარმოადგინოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი;

ყურადღება!

თუ ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები არ მოიძებნა:

- **უბანზე ელექტრონული სიების არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა გადამოწმებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამომრჩეველი მოძებნოს ელექტრონულ სიებში და მიაწოდოს ინფორმაცია იმ უბნის შესახებ, რომელშიც ის არის რეგისტრირებული;**
- **უბანზე ელექტრონული სიების არ არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა გადამოწმებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დაუკავშირდეს საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს ცხელ ხაზს ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.**

ყურადღება!

თუ საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი "არის საზღვარგარეთ", აღნიშნული ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს ზოგადი წესით.

- ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას (მარკირება არ გამოიყენება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში);

ყურადღება!

მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და მასზე საარჩევნო ბიულეტენი არ გაიცემა.

- აკეთებს ხელმოწერას ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას;
- საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ხელს აწერს მის უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს ამოწმებს სპეციალური ბეჭდით.

ყურადღება!

რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით) და შედეგები აცნობოს თავმჯდომარეს. ტოლობის არ არსებობის შემთხვევაში უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

III ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.



ყურადღება!

- **თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, მას უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.3).***
- **თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული ბიულეტენი ახლით. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს, ამომრჩევლის თანდასწრებით, ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“ და აწერს ხელს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს ინახავს ცალკე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.4).***

IV ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის მითითებით იღებს სპეციალურ კონვერტს, ათავსებს მასში ბიულეტენს.

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი:

მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და მიუთითებს ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი საარჩევნო ყუთში.

V ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში.

ყურადღება!

- **საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.**
- **დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას.**

VI კონვერტის ყუთში ჩაშვების შემდეგ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

ფიზიკური მდგომარეობის გამო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურა

(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილება)

ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არ ქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების (მარკირება, ხელისმოწერა ბიულეტენის მიღებაზე, ბიულეტენის მოთავსება საარჩევნო ყუთში) დამოუკიდებლად შესრულებას (ფიზიკური მდგომარეობა) კენჭისყრაში მონაწილეობს შემდეგი პროცედურების გათვალისწინებით:

- ამომრჩეველი არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;

- მასზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა", აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა" და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- ამომრჩეველს უფლება აქვს დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა;
- აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში.

კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 59)

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.
საუბნო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, წესრიგის დამრღვევი გააძევოს კომისიის განთავსების შენობიდან. დამრღვევის გაძევების შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

ყურადღება!

- **დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა.**
- **თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და დარღვევის აღკვეთამდე კენჭისყრის შენობაში/მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები.**

კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.6)

რეკომენდებულია რეგისტრატორებმა 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 19:00 საათზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად, გადაითვალონ სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მათ მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით).

ყურადღება!

თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

კომისიის მდივანს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა 12:00 და 17:00 საათის მდგომარეობით შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში და აცნობებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან და სრულდება 19:00 საათზე. კენ-ჭისყრის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.1).*

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, სურვილისამებრ, უფლება აქვთ დააკვირდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომანქანაში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან **წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის.**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებს გადასცემს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.3):*

- დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას;
- სპეციალურ კონვერტებს;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს.

ზემოაღნიშნული მონაცემები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

ყურადღება!
მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 64.5).*

ფიზიკური მდგომარეობის გამო ამომრჩევლის მიერ, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში – „ამომრჩევლის ხელმოწერა" – გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრი აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა" და ადასტურებს პირადი ხელმოწერით.

აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად ბიულეტენს ავსებს, სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს აგდებს გადასატან საარჩევნო ყუთში, ამომრჩევლის თანდასწრებით მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა) *(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილება).*

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი

ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. კომისიის მდივანმა ასეთ ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს „გაფუჭებულია“ და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ ცალკე შეინახოს.

კენჭისყრის პროცესის დროებით შეჩერება

თუ რაიმე გარემოება აფერხებს კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საოლქო საარჩევნო კომისიას და დაელოდოს შესაბამის მითითებებს.

თავი III. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება

საარჩევნო უბნის დახურვა



კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობას. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.8).*

ყურადღება!

- **გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა.**
- **კენჭისყრის დასრულების შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს, ამომრჩეველთა სიას, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს (ბიულეტენებს დალუქვამდე ჩამოეჭრება კუთხე).**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

ყურადღება!

კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბნის შენობაში შეაქვთ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია.

საარჩევნო უბნის მოწყობა ხმების დათვლის პროცედურისთვის

კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიდის თითოეულ რეგისტრატორთან, რომლებიც კომისიის თავმჯდომარის მითითებით (კენჭისყრის დასრულებამდე რეგისტრატორების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) ითვლიან:

გაცემული ბიულეტენების რაოდენობას − **გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა** = **ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის**

ყურადღება!

- **თუ ტოლობა არ შედგა, რეგისტრატორმა ხელახლა უნდა გადათვალოს და დააზუსტოს რაოდენობა. თუ ტოლობა კვლავ არ შედგა, რეგისტრატორმა უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება (მიზეზის მითითებით), რომელიც თან უნდა დაერთოს შემაჯამებელ ოქმს.**
- **რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები გათვალისწინებულ უნდა იქნას კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შედგენისას.**

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭდებს უკეთებს მეორე ნაკვეთურს. ნაკვეთურიანი ბეჭდების ნიმუში აისახება ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1).*

კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან, ურთიერთშეთანხმებით, შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს. თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს კომისიის თავმჯდომარე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1).*

მთვლელების გამოსავლენად წილისყრა შემდეგი წესის დაცვით მიმდინარეობს - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- კომისიის წევრების რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას "პირველი მთვლელი", "მეორე მთვლელი", "მესამე მთვლელი";
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. წილისყრის შედეგები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე (კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ ფუნქციის მინიჭებას). *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.3).*

საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.2).*

<u>ყურადღება!</u>
წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრები არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.2).*



კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დათვლის პროცედურისთვის ამზადებენ საარჩევნო უბანს:

- მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს;
- კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა;
- კომისიის მდივანი ადგილს იკავებს თავმჯდომარის გვერდით და ავსებს ჩანაწერთა წიგნს;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენი პირები ადგილს იკავებენ მაგიდისგან (მთვლელებისაგან) ორი მეტრის დაშორებით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.3).*

კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია, გადსატანი საარჩევნო ყუთის სია;
- გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი;
- სანთლები, ფარანი (ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევისთვის);
- კალკულატორი.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67)

მთვლელები თანამიმდევრულად ითვლიან კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3):*

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით;
- სპეციალური სიის მიხედვით;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს შედეგები დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭრის კუთხეს. გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს კრავს ცალ-ცალკე პაკეტებად *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.4).*

ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3; 67.4):

კომისიის მდივანი ცალ-ცალკე ლუქავს:

- ამომრჩეველთა ერთიან სიას;
- სპეციალურ სიას;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას.

მთვლელები ცალ-ცალკე ლუქავენ:

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს;
- გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს.

მთვლელები თითოეულ პაკეტზე მიუთითებენ საარჩევნო უბნის დასახელებას და ნომერს, საარჩევნო დოკუმენტაციის სახეს. კონვერტს ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.1,2,4)

კომისია თავდაპირველად ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს.
კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

ყურადღება!
თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.



მთვლელები გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, რის შემდეგაც:

- ამოწმებენ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას;
- ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს;
- თუ დარღვევა არ გამოვლინდა, კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან ყუთში.

ყურადღება!
თუ გადასატან საარჩევნო ყუთში არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია“. დოკუმენტაცია საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.1,2,5)

კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

ყურადღება!

თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

მთვლელები:

- ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ მაგიდაზე;
- ამოწმებენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მას უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს.

ყურადღება!

თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.7-8)

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იხსნება მას შემდეგ, რაც გაიხსნება ძირითადი საარჩევნო უბნის გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთები.

თუ საარჩევნო ყუთის (ყუთების) გახსნისას ხარვეზი არ გამოვლინდება, მთვლელები ერთმანეთში ურევენ ძირითადი, გადასატანი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

ხმის დათვლის პროცედურა

მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს, მათ გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე და წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების ორი წარმომადგენელი.

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69)

პირველი მთვლელი:

- სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს;
- აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო სუბიექტების შესაბამისად გადასცემს მთვლელებს;
- სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე.

მთვლელები ცალ-ცალკე აწყობენ:

- თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმებს;
- ბათილად მიჩნეულ ბიულეტენებს;
- საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებს.

დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

- სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
- სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;
- საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
- საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
- შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
- საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის (ასეთი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში). აღნიშნული მონაცემები შემაჯამებელ ოქმში არ შეიტანება.

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ, კომისია განიხილავს და კენჭისყრით წყვეტს საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს.

ნამდვილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს - ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში.

საარჩევნო ბიულეტენების დათვლა

ბიულეტენების დახარისხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ:

- ბათილად მიჩნეული ბიულეტენები;
- თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმები.

<u>ყურადღება!</u>
საარჩევნო სუბიექტისთვის კუთვნილი ყოველი 10 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. ეს შეკვრები, თავის მხრივ, იკვრება დასტად.

კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას. კომისიის მდივანი თავმჯდომარესთან ერთად, მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით ამოწმებს:

თუ სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების **ჯამი მეტია** ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ხელახლა გადაითვალონ მონაცემები, რის შემდეგ შედეგები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმში.

საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.6,9)

საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ცალ-ცალკე კონვერტში დალუქონ:

- ბათილი ბიულეტენები (მათ ეწერება „ბათილია“);
- საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტა.

ყურადღება!
საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო სუბიექტის მონაცემები (დასახელება, სახელი და გვარი) და მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, აგრეთვე ამ დასტაში ჩადებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

თითოეულ კონვერტს მთვლელები აწერენ ოლქისა და უბნის ნომერს, საარჩევნო ბიულეტებენის სახეობასა და რაოდენობას. კონვერტს დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71)

კომისიის მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში.

ყურადღება!

- **რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები გათვალისწინებულ უნდა იქნას კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შედგენისას.**
- **კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.**
- **თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი, მაგრამ ვალდებულია ოქმს მოაწეროს ხელი.**
- **აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება.**
- **შეცდომის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და დგება შესწორების ოქმი.**

შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.8)

საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი გამოაკრას საჯარო გაცნობისათვის.

კომისია ოქმის ასლს, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით (ასეთის არსებობისას), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს.

ოქმის ასლი უნდა დამოწმდეს კომისიის ბეჭდით, კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერებით. ოქმის ასლის მიღებას მიმღები პირი ადასტურებს ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით.

კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შესწორების ოქმსა და რეგისტრატორების წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ცესკოს.

სარეგისტრაციო ჟურნალის, ჩანაწერთა წიგნის დალუქვა, საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის

ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ იხურება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი, მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, სარეგისტრაციო ჟურნალი მოწმდება კომისიის ბეჭდით.

კომისია ლუქავს:

- ჩანაწერთა წიგნს, სარეგისტრაციო ჟურნალს და განცხადება/საჩივრებს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალურ ბეჭედს (კომისიის ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი).

ყურადღება !
შემაჯამებელი ოქმი არ ილუქება.

კომისიის უფლებამოსილი პირები საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემენ ინვენტარს და საარჩევნო დოკუმენტაციის ყუთს/ ტომარას, რომელშიც მოთავსებულია დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია. ამასთან დაკავშირებით დგება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები, რის შემდეგაც თითოეულს გადაეცემა აქტის თითო ეგზემპლარი.

ნაწილი IV

კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები

თავი I. კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრების რეგისტრაცია

საუბნო და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის/ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, დამკვირვებელს უფლება აქვს:

- განცხადება/საჩივარი გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს (დანართი №4).
- კენჭისყრის დღეს (27 ოქტომბერი), საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები ასახოს ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე).

ყურადღება!

- **არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს ჩანაწერთა წიგნში შეიტანოს პრეტენზია, შენიშვნა ან საჩივარი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.10).***
- **ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით).**

კომისიის მდივანი განცხადება/საჩივარს რეგისტრაციაში გაატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის შემოსული დოკუმენტაციის ნაწილში და განმცხადებელს გადასცემს ცნობას (მდივანმა ცნობა გაცემამდე რეგისტრაციაში უნდა გაატაროს სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენ-ტაციის ნაწილში და ჩანაწერთა წიგნში), რომელშიც აღინიშნება მიღების თარიღი, დრო და სარეგისტრაციო ნომერი. ცნობას მდივანი ადასტურებს ხელმოწერით (დანართი №5).

საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვება

საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან წილისყრით ავლენს არაუმეტეს ორ წარმომადგენელს. წარმომადგენლების მიერ დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში საჩივრის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

ყურადღება!
წილისყრით გამოვლენილი წარმომადგენლები და საჩივრების რეგისტრატორი (კომისიის მდივანი) არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პარტიის მიერ დანიშნული პირი.

განცხადება/საჩივრებზე ხარვეზის დადგენის წესი

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი, თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მის გამოსასწორებლად თუ განცხადება/საჩივარი არ შეიცავს:

- განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღსა და დროს;
- განმცხადებლის/მომჩივნის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს;
- საარჩევნო უბნის ნომერს;
- მოწმის არსებობის შემთხვევაში – მის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს.

განმცხადებელს დადგენილ ვადაში უფლება აქვს გამოასწოროს ხარვეზი ანალოგიური განცხადება/საჩივრის წარდგენის გზით ან წარადგინოს ახალი განცხადება (სადაც მიეთითება ის მონაცემები, რომელთა გამოც მას დაუდგინდა ხარვეზი).

კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს ჩანაწერს „ხარვეზი“. ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერს განცხადების/საჩივრის წარმდგენი და კომისიის მდივანი.

ყურადღება!
ხარვეზის შევსების ვადა დგინდება საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნისა და განცხადება/საჩივრის წარმდგენი პირის შეთანხმების საფუძველზე. ხარვეზის შევსების ვადის თაობაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ვადას ერთპიროვნულად ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

ხარვეზის შევსების შემთხვევაში, კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში წერს „შევსებულია“, ხარვეზის შევსების ზუსტი დროისა და თარიღის მითითებით. ჩანაწერის გასწრივ ხელს აწერს განცხადება/საჩივრის წარმდგენი და კომისიის მდივანი.

ყურადღება!
დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება/საჩივარი არ განიხილება, რის თაობაზედაც საუბნო საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას (განკარგულების სათაურში უნდა მიეთითოს განუხილველად დატოვების კონკრეტული მიზეზი).

განცხადება/საჩივარზე, რომელიც ეხება კენჭისყრის დღის 7 საათიდან ყუთის გახსნამდე ჩატარებული პროცედურების დარღვევას, კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.

დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი „დარღვევა აღმოფხვრილია“ და ზუსტი დროის მითითებით შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

განცხადება/საჩივარს, რომელიც ეხება ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის დარღვევას, საუბნო საარჩევნო კომისია არ განიხილავს და გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება და საუბნო საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ:

- განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- განცხადება/საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიას გადაეცა კანონით მოთხოვნილი ვადების დარღვევით;
- დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა წარდგენილი განცხადების/საჩივრის ხარვეზი.

განკარგულების სათაურში უნდა მიეთითოს განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების კონკრეტული მიზეზი.

ნიმუში

№___ _____ საარჩევნო ოლქის
№___ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის
სხდომის ოქმი № ___

_____ ____ _____ 2013 წ.

(ქალაქი, დაბა, სოფელი)

სხდომას ესწრებოდნენ:
(სახელი, გვარი)

1. _____ 2. _____
3. _____ 4. _____
5. _____ 6. _____
7. _____ 8. _____
9. _____ 10. _____
11. _____ 12. _____
13. _____

აგრეთვე ესწრებოდნენ:
_____
_____

კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას თავმჯდომარეობდა უხუცესი წევრი
_____

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს:_____

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე _____
წინააღმდეგი _____
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის _____ წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
3. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.
4. სხვადასხვა.

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის არანაკლებ 2 წევრის, _____ _____ და _____ _____ წინადადება კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე _____ _____ კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

კომისიის არანაკლებ 2 წევრის_____ _____ და _____ _____ წინადადება კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე _____ _____ ალტერნატიული (სხვა) კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: _____

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება № _____ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ _____ არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___
წინააღმდეგი ___
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება №_____ _____ საარჩევნო ოლქის №____ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ _____ არჩევის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ დასახელდა თავმჯდომარის სხვა კანდიდატურა).

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___
წინააღმდეგი ___
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)

მიღებულია განკარგულება № ___ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ _____ _____ არჩევის შესახებ (თან ერთვის).

სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე _____

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის არანაკლებ 2 წევრის _____ _____ და _____ _____ წინადადება კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე _____ _____ კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

კომისიის არანაკლებ 2 წევრის _____ _____ და _____ _____ _____ წინადადება კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე _____ _____ ალტერნატიული (სხვა) კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: _____

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება № __ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ _____ _____ არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___

წინააღმდეგი ___

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება № __ _____ საარჩევნო ოლქის № ___ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ _____ _____ არჩევის შესახებ (თუ დასახელდა მოადგილის სხვა კანდიდატურა).

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___
წინააღმდეგი___
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)
მიღებულია განკარგულება №___ _____ საარჩევნო ოლქის № ___ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ _____ _____ არჩევის თაობაზე (თან ერთვის).

3. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის არანაკლებ 2 წევრის _____ _____ და _____ _____ წინადადება კომისიის მდივნის თანამდებობაზე _____ _____ კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

კომისიის არანაკლებ 2 წევრის _____ _____ და _____ _____ _____ წინადადება კომისიის მდივნის თანამდებობაზე _____ _____ ალტერნატიული (სხვა) კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: _____

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება № __ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად _____ _____ არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___
წინააღმდეგი ___
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება № __ _____ საარჩევნო ოლქის № ___ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად _____ _____ არჩევის შესახებ (თუ დასახელდა მდივნის სხვა კანდიდატურა).

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი
_____ მომხრე	_____ წინააღმდეგი

მომხრე ___
წინააღმდეგი___
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ___ წევრი)
მიღებულია განკარგულება №___ _____ საარჩევნო ოლქის № ___ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად _____ _____ არჩევის თაობაზე (თან ერთვის).

4. სხვადასხვა.

განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე /_____/

კომისიის მდივანი /_____/

ნიმუში

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№__ _____ საარჩევნო ოლქის
№__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია

განკარგულება №__ /2013

№__ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

_____ 2013 წლის __ _____

ქალაქი, დაბა, სოფელი)

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, № __ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №__ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს _____.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს № __ _____ საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: _____), მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

ნიმუში

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№__ _____ საარჩევნო ოლქის
№__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია

განკარგულება №__ /2013

№__ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

_____ 2013 წლის __ _____
(ქალაქი, დაბა, სოფელი)

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, № __ _____-_____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №__ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნეს _____.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს № __ _____ საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: _____), მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

ნიმუში

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№__ _____ საარჩევნო ოლქის
№__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია

განკარგულება №__ /2013

№__ _____ საარჩევნო ოლქის № __ _____ საუბნო საარჩევნო

კომისიის მდივნის არჩევის შესახებ

_____ 2013 წლის __ _____

(ქალაქი, დაბა, სოფელი)

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25 მუხლის პირველი, და მე-3 პუნქტებისა და 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, №___ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №__ _____ საარჩევნო ოლქის №__ _____ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეულ იქნეს _____.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს № __ _____ საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: _____), მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
2012 წლის 9 მარტის №14/2012 დადგენილებით

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი") ადგენს ქცევის წესს, რომელიც სავალდებულოა საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერი მოხელისათვის.

მუხლი 2. კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები

ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (შემდგომში „საარჩევნო კოდექსი"), საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საარჩევნო ადმინისტრაცია – ცესკო, ცესკოს აპარატი, უსკო, უსკოს აპარატი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;

ბ) ოჯახის წევრი – მოხელის მეუღლე, შვილი და გერი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

მუხლი 4. კოდექსის მიზნები, ამოცანები და მოქმედების სფერო

1. კოდექსის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის პრესტიჟის ამაღლებას, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების წევრთა ნდობის განმტკიცებას, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიმართ ამ ქცევის წესების დაცვასა და დამკვიდრებას.

2. კოდექსის ამოცანაა მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკის ნორმებისადმი ერთგულების, მაღალი ზნეობრიობის განმტკიცება და სამსახურებრივ მოვალეობებთან მიმართებაში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.

3. კოდექსის მოქმედება ვრცელდება საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულ მოხელეებზე.

მუხლი 5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა (შემდგომში – მოხელეთა) საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მოხელე ვალდებულია:

1. პატივი სცეს კანონს:

უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული განხორციელება, ფუნქციების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.

2. იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი:

ა) უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა;

ბ) თავი აარიდოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს რომელიმე პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერად/წინააღმდეგ ქმედებად;
გ) მოხელის ოჯახის წევრის საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის შემთხვევაში, ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან/და ცესკოში 5 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს წერილობითი განცხადება, რომლის წარუდგენლობაც აღნიშნულ ვადაში შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი;
დ) არ მიიღოს საჩუქარი ან რაიმე სარგებელი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციისა ან იმ პირისაგან, რომელიც ჩართულია საარჩევნო პროცესში;
ე) საარჩევნო პერიოდში არ დაესწროს წვეულებებს, ბანკეტებსა და სადღესასწაულო ღონის-ძიებებს, რომელიც ორგანიზებულია პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის ან იმ პირის მხრიდან, რომელიც ჩართულია საარჩევნო პროცესში;
ვ) საარჩევნო პერიოდში თავი აარიდოს ადგილობრივი თუ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს.

3. მოქმედებდეს გამჭვირვალედ:
ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებს საარჩევნო პროცესთან ან საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღებაში (გარდა ამომრჩევლთა სიებში პირადი ნომრის შემცველი ინფორმაციისა).

4. იყოს პროფესიონალი, მოწესრიგებული და პუნქტუალური:
ა) მიიღოს მონაწილეობა მისთვის ჩატარებულ ტრენინგებში და ზედმიწევნით შეისწავლოს საარჩევნო პროცედურები;
ბ) არ დაუშვას სამსახურებრივი დროისა და ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნე-ბისათვის;
გ) იყოს კომუნიკაბელური და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმო-შობას ან მათ გაღვივებას;
დ) საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად გამოხატოს დასაბუთებული კრიტიკა;
ე) იყოს პუნქტუალური და იმოქმედოს კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე
1. ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და მასზე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საარჩევნო კოდექსითა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილი წესით.
2. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები და მათზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვე-ვისათვის პასუხს აგებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილი ზომების შესაბამისად და წესით.

საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრის რეკვიზიტები

განცხადებაში/საჩივარში აღინიშნება:

- ✓ განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო*;
- ✓ განმცხადებლის/მომჩივნის სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი*;
- ✓ საარჩევნო უბნის ნომერი*;
- ✓ მოწმის არსებობის შემთხვევაში – მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი*;
- ✓ დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო**;
- ✓ დამრღვევის დადგენის შემთხვევაში – მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენაც შესაძლებელი გახდა**;
- ✓ დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**;
- ✓ განმცხადებლის/მომჩივნის საკონტაქტო ტელეფონის (საცხოვრებელი ადგილის ან/და მობილურის) ნომერი***;
- ✓ ასევე განმცხადებლის/მომჩივნის ფაქსი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (მათი არსებობის შემთხვევაში)***;[1]
- ✓ სხვა დამატებითი ინფორმაცია.

---

* აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა არაზუსტად ან არასრულყოფილად წარმოადგენს განცხადება/საჩივარზე ხარვეზის დადგენის საფუძველს, ხოლო ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მისი განუხილველად დატოვების საფუძველს.

** აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა წარმოადგენს ხარვეზის დადგენის გარეშე განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

*** აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა არაზუსტად ან არასრულყოფილად არ შეიძლება გახდეს განცხადება/საჩივრის ხარვეზის დადგენის და განუხილველად დატოვების საფუძველი, მაგრამ შეიძლება გახდეს მხარის საჩივრის განხილვაზე დაბარების შეუძლებლობის საფუძველი.

№ “……”……საარჩევნო ოლქი

№ ”……”.....საუბნო საარჩევნო კომისია

ცნობა

განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

განცხადება/საჩივრის მიღების თარიღი: .....

განცხადება/საჩივრის მიღების დრო: .....

განცხადება/საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი: .....

კომისიის მდივანი: .....

/ ხელმოწერა /

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი

1. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

- იწვევთ კომისიის სხდომას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.2);*
- უძღვებით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1.ბ).*

2. ადმინისტრაციული ფუნქციები:

- უფლება გაქვთ დავალება მისცეთ მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1.ე);*
- უფლება გაქვთ გამოსცეთ განკარგულება *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 30.1.გ);*
- იღებთ და თქვენი რეზოლუციით ანაწილებთ საუბნო საარჩევნო კომისიაში შემოსულ საარჩევნო საბუთებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1.გ);*
- პასუხისმგებელი ხართ საოლქო საარჩევნო კომისიისაგან საარჩევნო დოკუმენტაციის, ინვენტარის და სხვა მასალების მიღებაზე, შენახვასა და დანიშნულებისამებრ გაცემაზე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 27.1.დ; მუხლი 63.6).*
- საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გაითვალისწინეთ, რომ საარჩევნო უბანზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 8):*
  - ☐ კომისიის საკონტაქტო ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები;
  - ☐ საარჩევნო ადმინისტრაციის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას;
  - ☐ კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები;
  - ☐ ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის და უზუსტობების გასაჩივრების წესი და ვადები.

ყურადღება!

- კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მეორე დღისა გადმოგეცემათ დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები (საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსია - სამაგიდო სია და საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია - კედლის სია) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.11);*
- საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი - კედლის სიის თავდაპირველი ვერსია უნდა ჩამოხსნათ და იმავე ადგილას გამოაკრათ დაზუსტებული ვერსია.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი
კენჭისყრის წინა დღეს
(26 ოქტომბერი)

1. კენჭისყრის შენობის მოწყობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

- პასუხისმგებლობა გეკისრებათ კენჭისყრის შენობის მოწყობისათვის. გაითვალისწინეთ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4):*
  - ☐ კენჭისყრის შენობაში უნდა მოეწყოს ფარული კენჭისყრის კაბინები (ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი კაბინა). ყოველ კაბინაში უნდა იყოს ერთი კალმისტარი;
  - ☐ უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისათვის და განთავსდეს მაგიდები რეგისტრატორთა რაოდენობის შესაბამისად;
  - ☐ თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგას გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;
  - ☐ საარჩევნო ყუთთან ახლოს უნდა განთავსდეს მაგიდა სპეციალური კონვერტებისთვის.

- კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.დ; 58.5):*
  - ☐ ამომრჩეველთა სიები;
  - ☐ საარჩევნო სუბიექტების სია (კანდიდატთა სიები);
  - ☐ ხმის მიცემის ინსტრუქცია და ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი (აგრეთვე უნდა გამოიკრას ფარული კენჭისყრის კაბინაში);
  - ☐ ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
  - ☐ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

გახსოვდეთ, კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიისგან უნდა მიიღოთ საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. მიღებისას <u>აუცილებლად გადათვალეთ</u> და შეადარეთ გადმოცემული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა მიღება-ჩაბარების აქტში შეტანილ მონაცემებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 63.9-11).* გადაამოწმეთ, რომ ბიულეტენებზე მითითებული იყოს თქვენი საარჩევნო უბნისა და საარჩევნო ოლქის ნომერი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი
კენჭისყრის დღეს
(27 ოქტომბერი)

07:00-08:00 საათი

- ☐ 07:00 საათზე გახსენით საარჩევნო უბანი, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნის გახსნისა და კომისიის წევრთა ქვორუმის თაობაზე (7 წევრი) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.1)*

- ☐ გადაეცით მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და სადემონსტრაციო ოქმი (იკვრება თვალსაჩინო ადგილას)

- ☐ შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების სააკრედიტაციო მოწმობები

- ☐ ყველას დასანახად შეამოწმეთ იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი და გახსენით ის და გაუკეთეთ პირველი ნაკვეთური. ნაკვეთურიანი ბეჭდების ნიმუში უნდა აისახოს ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ბ)*

- ☐ ჩაატარეთ წილისყრა გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრის გამოსავლენად, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.დ)*

- ☐ ჩაატარეთ წილისყრა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის დარჩენილი ფუნქციების (ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი, ამომრჩეველთა რეგისტრატორები, საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხდველი კომისიის წევრი) განაწილების მიზნით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ე)*

- ☐ საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად. გახსოვდეთ, წილისყრით გამოვლენილი წარმომადგენლები და კომისიის მდივანი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი პირი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.5)*

- ☐ გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიაში, აგრეთვე გადასატანი ყუთის სიაში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.ა)*

- ☐ გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.ბ)*

- ☐ შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთები ცარიელია და დალუქეთ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.გ)*
- ☐ თითოეულ რეგისტრატორს გადაეცით: სამასამომრჩევლიანი სია (ასევე სპეციალური სია –

ერთ-ერთ რეგისტრატორს), ბიულეტენების თითო ბლოკნოტი, მარკირების სითხე. რეგისტრატორებს შორის წილისყრით გაანაწილეთ რეგისტრატორის ბეჭდები, ბეჭედს გაუკეთეთ პირველი ნაკვეთური. ნაკვეთურის ნიმუში ასახეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.7-8)*

☐ ნაკადის მომწესრიგებელს გადაეცით მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი

☐ საარჩევნო ყუთის და კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადაეცით სპეციალური კონვერტები და ძირითადი საარჩევნო ყუთი

☐ კომისიის წევრებისათვის მასალების გადაცემის შემდეგ დაუყოვნებლივ, კენჭისყრის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანთან ერთად შეავსეთ (გარდა პირველი ამომრჩევლის მონაცემებისა) საკონტროლო ფურცლების თვითკოპირებადი ფორმა. მიაქციეთ ყურადღება, რომ კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს საკონტროლო ფურცელს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.10)*

08:00 საათი

☐ ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დაწყების თაობაზე.

08:00 საათიდან

☐ საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლი მოსვლისას გადის რეგისტრაციას, იღებს ბიულეტენს და ამის შემდეგ მიუთითეთ კომისიის მდივანს შეიტანოს პირველი ამომრჩევლის მონაცემები საკონტროლო ფურცელში, ხელი მოაწერინოს მას და მიუთითოს საარჩევნო ყუთებში მათი ჩაშვების ზუსტი დრო. საკონტროლო ფურცლის ერთი ეგზემპლარი მოათავსეთ ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარი გადასატან საარჩევნო ყუთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე საკონტროლო ფურცელი შეინახეთ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.10)*

☐ პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას ყუთ(ებ)ის დალუქვის, საკონტროლო ფურცლ(ებ)ის ყუთ(ებ)ში ჩაგდების, კომისიის სპეციალურ ბეჭედსა და რეგისტრატორების ბეჭდებზე პირველი ნაკვეთურის გაკეთებისა და ნაკვეთურის ნიმუშის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასახვის შესახებ.

09:00 საათიდან

☐ 09:00 საათიდან დაავალეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრის ჩატარება წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრს და გადაეცით მათ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.3):*

- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია
- ☐ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი
- ☐ სპეციალური კონვერტები
- ☐ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი

- ☐ **10:00 საათი**
- ☐ **12:00 საათი**
- ☐ **15:00 საათი**
- ☐ **17:00 საათი**
- ☐ **19:00 საათი**

სთხოვეთ რეგისტრატორებს კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად, გადაითვალონ სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მათ მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარესთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც უნდა დაურთოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს

12:00 და **17:00** საათზე რეგისტრატორებთან ერთად ამომრჩეველთა სიებში დათვლილი ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა მდივანს შეატანინეთ ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმში და აცნობეთ საოლქო საარჩევნო კომისიას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.6).*

20:00 საათამდე

- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთი უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.1)*

20:00 საათიდან – ყუთის გახსნამდე

- ☐ 20:00 სთ-ზე კენჭისყრა დასრულებულად გამოაცხადეთ. დაავალეთ კომისიის ერთ-ერთ წევრს დაითვალოს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობა. კენჭისყრის დასრულების შემდეგ დახურეთ საარჩევნო უბნის კარი და დალუქეთ საარჩევნო ყუთის ჭრილი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.8)*

- ☐ კენჭისყრის დასრულების შემდეგ მიდით თითოეულ რეგისტრატორთან, დაავალეთ (კენჭისყრის დასრულებამდე მათ მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) დაითვალონ:

  თუ ტოლობა არ შედგა, დაავალეთ რეგისტრატორს ხელახლა გადათვალოს და დააზუსტოს რაოდენობა. თუ ტოლობა კვლავ არ შედგა, სთხოვეთ რეგისტრატორს დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც უნდა დაურთოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს

- ☐ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით კომისიისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭდებს გაუკეთეთ მეორე ნაკვეთური. ნაკვეთურიანი ბეჭდების ნიმუში უნდა აისახოს ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1)*

- ☐ ჩაატარეთ წილისყრა 3 (ან საჭიროებისას მეტი) მთვლელის გამოსავლენად. თუ დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ დათვლის პროცესზე მეთვალყურე პირებს, დამკვირვებელთა შორის ჩაატარეთ წილისყრა 2 მეთვალყურის გამოსავლენად *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1)*

- ☐ ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად, რომლებიც კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი

საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.2)*

☐ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიასა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3)*

☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს ცალ-ცალკე დალუქოს ამომრჩეველთა ერთიანი (სამაგიდო), სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3)*

☐ მიუთითეთ მთვლელებს ცალ-ცალკე დალუქონ გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.4)*

☐ დალუქულ პაკეტს დააწერეთ საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი, საარჩევნო დოკუმენტაციის სახე და მთვლელებთან ერთად მოაწერეთ ხელი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.5)*

საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება

☐ შეამოწმეთ საარჩევნო ყუთის, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლუქის მთლიანობა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.1)*

☐ პირველ რიგში გახსენით გადასატანი საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადგენენ მის იდენტურობას კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელთან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.4)*

☐ გახსენით ძირითადი საარჩევნო ყუთი. მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით ადარებენ მას კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.5)*

☐ გახსენით გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მთვლელები ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით ადარებენ მას კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს

☐ თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელებმა ერთმანეთში უნდა შეურიონ ძირითადი, გადასატანი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი კონვერტები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.5)*

☐ მიუთითეთ მთვლელებს დაახარისხონ ბიულეტენები. კომისიასთან ერთად სათითაოდ უყარეთ კენჭი საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.5)*

☐ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები და თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.6-9)*

☐ მდივანთან ერთად შეამოწმეთ შემაჯამებელი ოქმების მონაცემების სისწორე:

☐ მიუთითეთ მთვლელებს შეკრან და დალუქონ: ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (ცალკე ილუქება სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენი), თითოეული საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო ბიულეტენები (პაკეტებს ხელს აწერენ მთვლელები და თავმჯდომარე) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.6-9)*

☐ კომისიის მდივანი თქვენთან შეთანხმებით ავსებს შემაჯამებელ ოქმს (ოქმის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები). მდივანი შემაჯამებელ ოქმს ატარებს რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალში. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს შემაჯამებელ ოქმს. დაამოწმეთ შევსებული შემაჯამებელი ოქმი კომისიის ბეჭდით. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი, შესწორების ოქმსა და რეგისტრატორების წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადაუგზავნეთ ცესკოს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.14)*

☐ მდივანი აკეთებს შემაჯამებელი ოქმის ასლებს. ასლის გაცემისას მდივანთან ერთად თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ შემაჯამებელი ოქმის ასლებს და დაამოწმოთ კომისიის სპეციალური ბეჭდით. მდივანმა რეგისტრაციაში უნდა გაატაროს გაცემული ასლები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.8)*

☐ დალუქეთ ცალ-ცალკე პაკეტში კომისიის ბეჭედი (კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს კომისიის ყველა წევრი აწერს ხელს) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.13)*, რეგისტრატორების ბეჭდები, ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, საჩივრები. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი არ ილუქება

☐ მოათავსეთ დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია დიდ ყუთში ან ტომარაში და მიიტანეთ საოლქო საარჩევნო კომისიაში. ყუთის/ტომრისგან განცალკევებით წაიღეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის, განცხადება-საჩივრებისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დალუქული კონვერტი

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს (27 ოქტომბერი)

07:00 – 08:00 საათი

- ☐ საარჩევნო უბნის გახნისას კომისიის თავმჯდომარისგან მიიღეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და სადემონსტრაციო ოქმი

- ☐ სადემონსტრაციო ოქმი გააკარით საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას

- ☐ ჩანაწერთა წიგნის პირველ და მეორე გვერდებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მე-10 და მომდევნო გვერდებზეც დააფიქსირეთ საარჩევნო უბნის გახსნისას კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების (კომისიის წევრების, დამკვირვებლების, წარმომადგენლების) სახელი, გვარი და სთხოვეთ მათ კენჭისყრის შენობაში ყოფნა ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით დაადასტურონ (*საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ა)*

- ☐ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე ასახეთ კომისიის ბეჭდის ნიმუში, რომელზეც გაკეთებულია პირველი ნაკვეთური *(საარჩევნო კოდექსი - 61.2.ბ)*

- ☐ კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა გასანაწილებლად ჩატარებული წილისყრის შედეგები შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ვ)*

- ☐ საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით ჩატარებული წილისყრის შედეგად გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაცემები შეიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე

- ☐ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიაში არსებული ამომრჩეველთა რაოდენობა დაფიქსირეთ ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და სადემონსტრაციო ოქმში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.9)*

- ☐ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა დააფიქსირეთ ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და სადემონსტრაციო ოქმში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.9)*

- ☐ საარჩევნო ყუთების დალუქვის დრო, საარჩევნო ყუთების ლუქის ინდივიდუალური ნომრები შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე

- ☐ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე ასახეთ თითოეული რეგისტრატორის ბეჭდის ნიმუში, რომელზეც გაკეთებულია პირველი ნაკვეთური *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.8)*

- ☐ კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შეავსეთ (გარდა პირველი ამომრჩევლის მონაცემებისა) საკონტროლო ფურცლის თვითკოპირებადი ფორმა. მიაქციეთ ყურადღება, რომ საკონტროლო ფურცელს ხელი მოაწეროს კომისიის დამსწრე ყველა წევრმა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.10)*

08:00 საათიდან

- ☐ პირველი ამომრჩევლის უბანში მოსვლისას ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენს. ამის შემდეგ შეიტანეთ პირველი ამომრჩევლის მონაცემები საკონტროლო ფურცელში, მოაწერინეთ ამომრჩეველს ხელი და მიუთითეთ საარჩევნო ყუთებში ფურცლების ჩაშვების ზუსტი დრო (საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე)

09:00 საათიდან

- ☐ აღნიშნეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე, თუ რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.6)*

12:00 საათი

- ☐ თითოეულ რეგისტრატორთან ერთად გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და მათი ჯამი შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და სადემონსტრაციო ოქმში

17:00 საათი

- ☐ თითოეულ რეგისტრატორთან ერთად გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და მათი ჯამი შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე და სადემონსტრაციო ოქმში

20:00 საათიდან - ყუთის გახსნამდე

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეიტანეთ 20:00 საათისთვის რიგში მგდომ ამომრჩეველთა რაოდენობა

- ☐ კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭდებს უკეთებს მეორე ნაკვეთურს. ჩანაწერთა წიგნის მე-6 გვერდზე ასახეთ აღნიშნული ბეჭდების ნიმუშები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1)*

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე აღნიშნეთ კომისიის წევრებს შორის მთვლელების ფუნქციების წილისყრით გადანაწილების შედეგები

- ☐ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესზე დაკვირვების მიზნით დამკვირვებელთაგან გამოვლენილი მეთვალყურეების მონაცემები

- ☐ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ წილისყრის შედეგად გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაცემები, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში

- ☐ ჩანაწერთა წიგნში აღნიშნეთ ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების ვინაობა

- ☐ ამომრჩეველთა ერთიანი სიის, სპეციალურ სიისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით მთვლელების მიერ გამოვლენილი კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა დააფიქსირეთ ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3)*

- ☐ ცალ-ცალკე შეფუთეთ და დალუქეთ ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3).* დალუქულ პაკეტებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები

☐ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭერით კუთხე. გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები შეკარით ცალ-ცალკე პაკეტებად *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.4)* დალუქულ პაკეტებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები

<u>საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა</u>

☐ საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ მთვლელების მიერ დათვლილი ბათილი ბიულეტენებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმში (სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.6; მუხლი 69.8)*

☐ კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შეამოწმეთ შემაჯამებელი ოქმის სისწორე: სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობას + ბათილი ბიულეტენების რაოდენობა = ან < ხელმოწერების რაოდენობისა

☐ მთვლელების მიერ ხმების დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შეავსეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.1) ოქმის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები. გახსოვდეთ! აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების შესწორება *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 70.3)*

☐ ხელი მოაწერეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და თვალყური ადევნეთ, რომ კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს ამ ოქმს. ოქმი დაამოწმეთ კომისიის ბეჭდით და რეგისტრაციაში გაატარეთ სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.4)*

☐ კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ დახურეთ ჩანაწერთა წიგნი და სარეგისტრაციო ჟურნალი შესაბამისი ჩანაწერით ,,ჟურნალი დახურულია" დაადასტურეთ თქვენი და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით, რის შემდეგაც დაამოწმეთ ისინი კომისიის ბეჭდით *(საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 11. 15; საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.11, 71.12)*

გაითვალისწინეთ!

- ✓ კომისიის წევრთა შორის წილისყრით დადგენილი ფუნქციების სხვა წევრზე დროებით გადაცემის შემთხვევაში, ინფორმაცია დააფიქსირეთ ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ზ.)*
- ✓ მარკირების პროცედურის შემოწმებისას, თუ ამომრჩეველს აღმოაჩნდა რომ აქვს მარკირება, მისი ვინაობა შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე
- ✓ სარეგისტრაციიო ჟურნალში და ჩანაწერთა წიგნის მე-10 და მომდევნო გვერდებზე რეგისტრაციაში გაატარეთ ყველა შემოსული განცხადება/საჩივარი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.9)*
- ✓ შემაჯამებელი ოქმის ასლის გაცემისას ასლი გაატარეთ რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალში, დაამოწმეთ იგი საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და კომისიის თავმჯდომარესთან ერთად მოაწერეთ მას ხელი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.8)*

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები
(მუხლი 64, მუხლი 65)

- არეგულირეთ საარჩევნო უბანში შემოსულ ამომრჩეველთა ნაკადი
- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი
- ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმეთ, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება და მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნება, მიეცით მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება
- თვალყური ადევნეთ, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩევლის შესვლა
- მიუთითეთ ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო

ყურადღება!

- თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, აუხსენით მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას. სთხოვეთ მას, დატოვოს საარჩევნო უბანი
- საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185[1] მუხლით დადგენილი წესით არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს საარჩევნო სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელ-მწიფოს მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. ასეთი პირი საარჩევნო უბანზე მისვლისას საქართველოს მოქალაქის პასპორტისა და პირადობის მოწმობის ნაცვლად წარადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტს.
- თუ ულტრაიისფერი ფარნით მარკირების შემოწმებისას გამოვლინდება, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩევლის ვინაობა აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს. სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი
- ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არ ქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას (ფიზიკური მდგომარეობა) არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები
(მუხლი 65)

- მოსთხოვეთ ამომრჩეველს წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან/ID ბარათთან ან პასპორტთან ერთად
  - ✓ ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი
- შეამოწმეთ არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს
- თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, გაუკეთეთ ამომრჩეველს მარკირება
- დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე) რეგისტრატორის ბეჭდით
- მოაწერეთ ხელი საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე
- ამომრჩეველთა სიაში თქვენი ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა
- სთხოვეთ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება
- გადაეცით ამომრჩეველს თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი
- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში

ყურადღება!

- თუ ამომრჩეველი არ წარმოგიდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას/ID ბარათს, საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირის შემ-თხვევაში - დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან/ID ბარათთან ან პასპორტთან ერთად, ხოლო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტს მას არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი
- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი
- ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არ ქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას (ფიზიკური მდგომარეობა), არ გადის მარკირების პროცედურას და მასზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა" უნდა გააკეთოთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა" და დაადასტუროთ პირადი ხელმოწერით

- თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდებათ საარჩევნო ბიულეტენი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს და ამომრჩეველს გადაეცით ახალი (თქვენს მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული) საარჩევნო ბიულეტენი
- თუ საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი "არის საზღვარგარეთ", აღნიშნული ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს ზოგადი წესით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65)*

გაითვალისწინეთ!

- ✓ რეკომენდებულია რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 19:00 საათზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად, გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- ✓ რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით) და შედეგები აცნობოს თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები
(მუხლი 66)

ყურადღება!

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე

- კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა გადმოგცეთ:
  - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია
  - ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები
  - ✓ სპეციალური კონვერტები
  - ✓ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი
- ამომრჩეველთან მისვლისას მოსთხოვეთ მას წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში-დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან/ID ბარათთან ან პასპორტთან ერთად
- შეადარეთ ამომრჩეველის პირადი ნომერი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში თქვენი ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა
- სთხოვეთ ამომრჩეველს, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება
- გადაეცით ამომრჩეველს რეგისტრატორის ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი
- ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შევსების შემდეგ, გადაეცით მას სპეციალური კონვერტი და მიუთითეთ, მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი
- სთხოვეთ ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი დალუქეთ იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა

- კენჭისყრის დღის არა უგვიანეს 20 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი დააბრუნეთ საარჩევნო უბანზე
- კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს გადაეცით გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები დაელოდეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს

ყურადღება!

- თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. შეადგინეთ შესაბამისი ოქმი (აღნიშნეთ მიზეზი) და ხელი მოაწერეთ თანმხლებ პირებთან ერთად. დაელოდეთ კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეთა მიმართ არ გამოიყენება მარკირება
- ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში – „ამომრჩევლის ხელმოწერა" – გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა" და დაადასტურეთ პირადი ხელმოწერით

საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 65)

- მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან
- უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები
- დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთის სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი
- ფარული კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ უნდა მიუთითოთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი
- მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში
- სთხოვეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი

ყურადღება!

- მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში, გამონაკლისია ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩევლი, რომლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, ბიულეტენს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში
- საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი
- უფლება გაქვთ, ამომრჩევლის მიერ სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის მოთავსებამდე მოსთხოვოთ მას გიჩვენოთ, რომ მას ხელთ აქვს ერთი საარჩევნო ბიულეტენი და ერთი კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა

ფოტოვიდეოგადაღება საარჩევნო უბანზე

(მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილების მიხედვით)

I საარჩევნო უბნის გახსნიდან (დილის 7 საათი) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პერიოდის ჩათვლით

კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, დაუშვებელია:

- კენჭისყრის **<u>კაბინაში</u>** ფოტოვიდეოგადაღება, რათა არ მოხდეს ამომრჩევლის არჩევანის გამჟღავნება;
- ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიისა და სხვა ისეთი ინფორმაციის თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

კენჭისყრის პროცესის ხელისშეუშლელად მიმდინარეობის უზრუნველყოფის მიზნით:

- ინტერვიუს ჩაწერა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან **<u>დასაშვებია მხოლოდ</u>** კენჭისყრის შენობის გარეთ;
- ინტერვიუს მიცემა საარჩევნო კომისიის წევრების მიერ უნდა განხორციელდეს კენჭისყრის პროცესში მათთვის განკუთვნილი **<u>მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე</u>**.

! კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი, რომელიც კამერით ტოვებს კენჭისყრის შენობას ინტერვიუს ჩასაწერად, კარგავს საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღების წარმოების უფლებას და საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით კენჭისყრის შენობაში ხელახლა შესვლა შეუძლია **<u>ფოტოვიდეოგადამღები აპარატის გარეშე</u>**

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- ამომრჩეველს, ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ერთი და იმავე საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს);
- რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (დამატებით შესაძლოა ახლდეს თარჯიმანი).

II კენჭისყრის დღეს, დილის 7 საათიდან პირველი ამომრჩევლის საარჩევნო უბანში მოსვლამდე და საარჩევნო უბანში ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდგომი პერიოდიდან შემაჯამებელი ოქმების შედგენის პერიოდის ჩათვლით

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით:

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან, გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან არანაკლებ **3 მეტრის** მანძილის დაშორებით, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი.

III კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლის პერიოდიდან ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პერიოდში

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით:

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ დაუბრკოლებრივ გადაიღონ კენჭისყრის პროცესის ის პერიოდი საარჩევნო უბნებში, სადაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამომრჩევლები (პოლიტიკური თანამდებობის პირები, საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური გაერთიანებების ხელმძღვანელები, რელიგიური ლიდერები) აძლევენ ხმას, რის შემდგომაც, ფოტოვიდეოგადამღები აპარატები უნდა გატანილ იქნას კენჭისყრის შენობიდან.

- ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება აქვს, კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ერთხელ არაუმეტეს 10 წუთისა საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს ნებისმიერი ადგილიდან, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის დაცვით.

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს (მათ შორის, მედიის წარმომადგენლებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ფოტოვიდეოგადაღება აწარმოონ 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში) შეუძლიათ კენჭისყრის მთელი დღის განმავლობაში აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილ ადგილზე განთავსებული სტაციონალური ფოტოვიდეოგადამღები აპარატის მეშვეობით. სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.

! კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი, რომელიც ფოტოვიდეოგადაღებისთვის გამოყოფილი ადგილიდან გადაადგილდება კამერით ან ფოტოვიდეოგადაღების აპარატით ტოვებს კენჭისყრის შენობას, კარგავს საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღების წარმოების უფლებას და საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით კენჭისყრის შენობაში ხელახლა შესვლა შეუძლია აღნიშნული **აპარატის გარეშე**

დარღვევებზე რეაგირება ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ. გამოცემის შინაარსი წარმოადგენს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირისა თუ გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP).The contents of this publication are the sole responsibility of the Centre of Electoral System Development,Reforms and Trainings and can in no way be taken to reflect the views of the EU or UNDP.

Empowered lives.
Resilient nations.